ხელშეკრულება № 101
შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. გორი 25 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ტულუშის სახით და მეორეს მხრივ შპს „ეს-კა-იმპექსი" დირექტორი ალექსანდრე სარჯველაძის სახით ს/კ 204898441 (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სამედიცინო მოწყობილობების (CPVკოდი 33100000) და ფარმაცევტული პროდუქტების (CPVკოდი 33600000) შესყიდვა.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ობიექტი და საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართი 1-ში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა:

ა. სამედიცინო მოწყობილობები (CPVკოდი 33100000)-1035 (ერთიათასოცდათხუთმეტი)ლარის.

ბ. ფარმაცევტული პროდუქტები (CPVკოდი 33600000)-1016(ერთიათასთექვსმეტი)ლარის.

2.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს2051 (ორიათასორმოცდათერთმეტი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2.შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს. ,ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.3 მისაწოდებელი საქონლის ვარგისიანობა უნდა იყოს არანაკლებ 12 თვისა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 29ივლისის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია:ქ. თბილისი, წერეთლის ქ.2ა.

4.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6..3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. და 5.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 კალენდარულული დღის ვადაში.

6.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი .გურამიშვილის ქ.5

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს სპორტული დირექტორი ზურაბ ხორგუაშვილი.

15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილას GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. N19
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი - TRESGE22 ს/ს 217874973

დირექტორი ზ.ხორგუაშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „ეს-კა-იმპექსი"
ქ.თბილისი წყნეთის ქ.2ა.
საბანკო რეკვიზიტები სს„ლიბერთი ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22
ანგ.№ GE70LB0113112253328001
ს/კ 204898441

დირექტორი ა.ხარჯველაძე

საქონლის დასახელება დანართი 1

საქონლის დასახელება	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი	CPV კოდი
გასაყინი სპრეი 300მლ	7	20	140	33600000
პერსკინდოლის გელი 100მლ	15	14	210	33600000
კაფსიკამის მალამო	1	7	7	33600000
L კარნიტინ ლიქვიდი 1000მლ	2	65	130	33600000
ვიტამინი C 1000მგ N20	2	7	14	33600000
სპორტ დირექტი N20	5	20	100	33600000
მაგნეზია+კალიუმი N15	4	10	40	33600000
ჯონსონის ზეთი 200მლ	8	6	48	33600000
ჯონსონის ზეთი 100მლ	6	3,5	21	33600000
სტიმოლი N36	2	75	70	33600000
სტიმოლი N18	2	18	36	33600000
ვიტალ დრინკი 5000მლ	1	200	200	33600000
ლეიკო 5x5	20	2.5	50	33100000
დრიმ K 5x5	24	30	720	33100000
მინი როლერი 6	0.5	90	45	33100000
გეტრების ტეიპი	22	10	220	33100000
სულ			2051	

შემსყიდველი

ა(ა)იპ.ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო
კლუბი დილა

დირექტორი

გიორგი ბუღაშვილი

მიმწოდებელი

შპს ეს კა იმპექსი

დირექტორი

ალექსანდრე ხარაგაულიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. გორი

25 ივლისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სამედიცინო მოწყობილობების და ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება, ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შპს„ეს-კა-იმკეკს"-თან ინტერესთა კომფლიკტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო
კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality
NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს
დირექტორი

გიორგი ტუღუში

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო
კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality
NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს

სპორტული დირექტორი

ზურაბ ხორგუაშვილი

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო
კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality
NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს

შესიდვების კოორდინატორი

ს. ზაუტაშვილი

სვეტლანა ზაუტაშვილი